MES 1 22 00006-35/2

22/06/2022

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N06-35/2

ქ. თბილისი

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ვალერიან გობრონიძის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2 200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს დომენები.ჯი,
წარმოდგენილი მისი დირექტორის **ია ფერაძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის №5
საბანკო რეკვიზიტები: სს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/N GE72TB7229936080100010
საიდენტიფიკაციო კოდი 405254004

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 17.06.2022 წ. №665437 სამსახურებრივი ბარათის და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება
1.1.წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მინიჭებული მნიშვნელობა.
1.2. შემდეგ ტერმინებს, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს კონტექსტი, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1. „ხელშეკრულება" ნიშნავს წინამდებარე დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;
1.2.2.„დომენური სახელი" ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის ნიშნავს რეგისტრანტის მიერ ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელს.

1.2.3. „ელექტრონული განაცხადი“ ნიშნავს რეგისტრატორის მიერ დადგენილ და მის ვებგვერდზე განთავსებულ ფორმას, რომლის საშუალებითაც რეგისტრანტი ახდენს თავისუფალი დომენური სახელის რეგისტრაციაზე განაცხადის გაგზავნას რეგისტრატორთან
1.2.4. „დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები“ ნიშნავს .GE დომენური ზონის ადმინისტრატორის, კავკასუს ონლაინის მიერ დადგენილ რეგულაციას, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრატორს და რეგისტრატორებს, რეგისტრატორებსა და რეგისტრანტებს და ასევე ადმინისტრატორსა და რეგისტრანტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების, მათ შორის, უფლებების გამოყენების და ვალდებულებების შესრულების ნაწილში, სავალდებულო, არსებით პირობებს. წესების აქტუალური ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე: nic.ge

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 მიმწოდებელი (რეგისტრატორი) იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს (რეგისტრანტს) მიმწოდებლის (რეგისტრატორის) მიერ დადგენილი ფორმის ელექტრონულ განაცხადში მითითებულ დომენურ სახელთან (geofl.ge) დაკავშირებით სარეგისტრაციო მომსახურება (cpv კოდი- 72417000- დომენური სახელები).
2.2 დომენური სახელის რეგისტრაციით შემსყიდველი (რეგისტრანტი) იღებს დომენური სახელით სარგებლობის შეზღუდულ, გადაცემად, განახლებად, ექსკლუზიურ უფლებას იმ ვადითა და პირობებით როგორც ეს მოცემულია ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს **30.00 (ოცდაათი)** ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
4.5 დაფინანსების წყარო: ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახი"(პროგრამული კოდი 320403).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტბზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა "ირბახის" ექსპერტი - ნატა დავითაშვილი.

6. მომსახურების გაწევის ვადა
6.1 მიმწოდებლმა უნდა უზრუნველყოს რეგისტრაციის განახლებას შემდეგი ვადით:

geofl.ge – 2022 წლის 10 ივლისიდან 1 კალენდარული წლის ვადით;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს (რეგისტრანტს) უფლება აქვს:

7.1.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს (რეგისტრატორს) წინამდებარე ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.2. შემსყიდველს (რეგისტრანტი) ვალდებულია:

7.2.1 გაეცნოს და შეასრულოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და შესაბამის ინსტრუქციებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე nic.ge;

7.2.2 დროულად გადაიხადოს დომენური სახელის რეგისტრაციის და რეგისტრაციის განახლების საფასური;

7.2.3 მიმწოდებელს (რეგისტრატორს) სარეგისტრაციო მონაცემების განსაახლებლად აუცილებელი ინფორმაცია;

7.2.4 მიმწოდებელის (რეგისტრატორის) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს რეგისტრატორს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია;

7.2.4 კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.2.5 გამოიყენოს დომენური სახელი იმგვარად, რომ ასეთმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს მესამე პირთა უფლებების, მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი ძალის მქონე აქტის დარღვევა.

7.3. ადმინისტრატორი უფლებამოსილია:

7.3.1 მოსთხოვოს რეგისტრანტს წინამდებარე ხელშეკრულებითა და GE დომენის რეგისტრაციისა და სარგებლობის წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

7.4. მიმწოდებელი (რეგისტრატორი) ვალდებულია:

7.4.1 გაუწიოს შემსყიდველს (რეგისტრანტს) სარეგისტრაციო მომსახურება დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და ამ ხელშეკრულების პირობების დაცვით;

7.4.2 უზრუნველყოს შემსყიდველის (რეგისტრანტის) მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემებისა და ინფორმაციის დროული განახლება.

8. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

8.1. შემსყიდველის (რეგისტრანტის) აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

8.1.1 მის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სრული და სწორი;

8.1.2 საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი არის მოქმედი;

8.1.3 მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და თანხმობა ადმინისტრაციული საკონტაქტო პირისგან, ტექნიკური საკონტაქტო პირისგან, ბილინგ საკონტაქტო პირისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის და არამხოლოდ, მათი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებასთან და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით;

8.1.4 შემსყიდველის (რეგისტრანტის) აქვს კანონიერი უფლება გამოიყენოს დომენური სახელი;

8.2. მიმწოდებლის (რეგისტრატორის) განცხადებები და გარანტიები:

8.2.1 რეგისტრატორს აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
8.2.2 მიმწოდებლის (რეგისტრატორის) მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება
ა) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს რეგისტრატორის მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის 2 მიმწოდებლი (რეგისტრატორი);
ბ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ გაფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია (ინსპექტირების აქტი).
9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს ქართუ ლი ენის სამმართველოს სპეციალისტი დინარა ბერუჩაშვილი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.3 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.
10.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი
12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3 მიმწოდებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.
12.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი
“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 10 ივლისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან: მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე

მიმწოდებლის მხრიდან: დირექტორი ია ფერაძე

Ia Peradze 01030011856

Digitally signed by Ia Peradze
Date: 2022.06.23 15:17:29

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გობრონიძე ვალერიან